აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის ბრძანება

18/06/2024

MES 0 24 00000278/ᲛᲐ

#278/ᲛᲐ

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს „განათლების ხელშეწყობა“ პროგრამით (პროგრამის კოდი: 06 04) გათვალისწინებული „აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის სტიპენდია“ ქვეპროგრამის (ქვეპროგრამის კოდი: 06 04 12) ფარგლებში სტიპენდიის მისანიჭებელ კანდიდატთა განაცხადების წარდგენის ვადის განსაზღვრის შესახებ

„აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის სტიპენდიის დაწესებისა და მინიჭების წესის დამტკიცების თაობაზე“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2017 წლის 12 სექტემბრის #11 დადგენილების, „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 25 ივლისის #33 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს განათლების და საგანმანათლებლო პროგრამების სამსახურის უფროსის ხათუნა შონიას 2024 წლის 12 ივნისის #654633 სამსახურებრივი ბარათის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს „განათლების ხელშეწყობა“ (პროგრამის კოდი: 06 04) პროგრამით გათვალისწინებული „აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის სტიპენდია“ ქვეპროგრამის (ქვეპროგრამის კოდი: 06 04 12) ფარგლებში, სტიპენდიის მინიჭების მიზნით, კანდიდატთა მიერ განაცხადების წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2024 წლის პირველი ივლისიდან, მიმდინარე წლის 10 აგვისტოს ჩათვლით.
2. დაევალოს სამინისტროს ადმინისტრაციის (სამსახური) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს, წინამდებარე ბრძანების გამოქვეყნება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (პორტალზე) და ფეისბუქგვერდზე.

საქართველო, თბილისი, 0102 დიმიტრი უზნაძის ქ. 68 ტელ: (032) 2-95-07-52,
ელ-ფოსტა: meca@abkhazia.gov.ge

3. დაევალოს სამინისტროს ადმინისტრაციას (სამსახური), უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, ანა კალანდაძის ქ.#7ა) მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

აფხაზეთის ა
რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო
მინისტრი
გაბელია ნანა